შრომითი ხელშეკრულება

ქალაქი თბილისი

1 აგვისტო 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ააიპ „ალიანსი უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის“ დირექტორი ეკა ჭყონია, შემდგომში „დამქირავებელი“ და მეორეს მხრივ მოქალაქე, ეკატერინე ადამია შემდგომში „დაქირავებული“ მცხოვრები ქ.თბილისი პირადი ნომერი 01024031125 ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დამქირავებელი მოქმედებს რა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით, დაქირავებულს სთხოვს განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრული საქმიანობა.

ხოლო დაქირავებული თანახმაა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრული შრომითი საქმიანობა.

<u>მუხლი 1. ზოგადი დებულებანი</u>

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ და პროფესიულ ურთიერთობებს.

1.2 ხელშეკრულების მხარეების უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დამქირავებლის დებულებით.

<u>მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი</u>

2.1. ხელშეკრულება იდება 2018 წლის 1 აგვისტოდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე.

2.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

<u>მუხლი 3. საქმიანობის საგანი</u>

3.1. პროექტში – #20728 “ საქართველოს ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის ეფექტური რეფორმის ხელშეწყობა“ ტრენინგის მომზადება და ჩატარება.

<u>მუხლი 4.შრომის ანაზღაურება</u>

4.1 ანაზღაურება განისაზღვრება 1000 აშშ. დოლარის ექვივალენტი (გრანტის გადმორიცხვისას არსებული ეროვნული ბანკის კურსით) ლარში.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო..

<u>მუხლი 5. დაქირავებულის მოვალეობები</u>

5.1. ჯეროვნად, დროულად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის მინდობილი სამუშაო, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლში;

5.2. განხორციელებული სამუშაოს შესახებ წარადგინოს ანგარიში ხელმძღვანელობის მოთხოვნისთანავე თუ კანონმდებლობით, დებულებით და შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5.3. კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, დამქირავებლის შინაგანაწესი, ხელმძღვანელობის ბრძანებები და მითითებები;

5.4 არ გაამჟღავნოს დამქირავებლის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვისცნობილი გახდა ორგანიზაციაში საქმიანობის შედეგად.

<u>მუხლი 6 დაქირავებულის უფლებები:</u>

6.1. მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ სამუშაოს სათანადო შესრულებასთან;

6.2. მოითხოვოს დამქირავებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულება.

6.3 ისარგებლოს კანონით დადგენილი სხვა უფლებებით.

მუხლი 7 დამქირავებელი ვალდებულია:

7.1. აანაზღაუროს დაქირავებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

მუხლი 8 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

8.1 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

8.1.1. მხარეთა შეთანხმება.

8.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლით დაწესებული ვადის გასვლა;

8.1.3. კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

8.2.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება 2.1. მუხლში აღნიშნულ ვადაზე ადრე, რის შესახებაც ხელშეკრულების შემწყვეტმა მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.2.2. ხელშეკრულება ვადამდე დამქირავებლის ინიციატივით წყდება თუ;

ა. დაქირავებული ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;

ბ. არღვევს მოქმედი შრომის კანონმდებლობას და პროექტით გათვალისწინებულ შინაგანაწესს.

8.2.3. ხელშეკრულება ვადამდე დაქირავებულის ინიციატივით წყდება:

ა. პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ. დამკვეთის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში

მუხლი 9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1 მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე მხარეთა ინიციატივით შეიძლება გადაეცეს სასამართლოს.

მუხლი 10 სხვა დებულებები

10.1. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალია მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეს.

10.4. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ ურთიერთობებში ფორმდება წერილობით ამ ხელშეკრულების დამატების სახით ან ახალი ხელშეკრულებით.

მხარეთა ხელმოწერები:

„დამქირავებელი“ ალიანსი უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის ქალაქი თბილისი საიდენტიფიკაციო კოდი 404484401 ---------- დირექტორი ეკა ჭყონია	„დაქირავებული“ ეკატერინე ადამია სს „თიბისი ბანკი“ TBCBGE22 ა/ანგარიში GE43TB7033945063600044 ---------- ეკატერინე ადამია